

მანანა სეხნიაშვილი

რას და რატომ სწავლობენ ჩვენი მოსწავლეები?

ახლა ბევრს საუბრობენ განათლების დონესა და სკოლის პრობლემებზე. უამრავი კვლევა ტარდება. პრობლემა იდენტიფიცირებულია, გადაჭრის გზებიც დასახულია, თუმცა შედეგი ჯერ კიდევ არასახარბიელოა.

ჩემმა მეათეკლასელმა მოსწავლეებმა, რომლებსაც არჩევით საგნებს შორის გეოგრაფიული კვლევა ჰქონდათ, ჩაატარეს კვლევა განათლების საკითხებთან დაკავშირებით. მათი მიზანი სკოლის პრობლემების იდენტიფიცირება იყო.


კვლევის ჩატარების დროს ვიცოდი, რა მიზანიც მქონდა: ჩემს მოსწავლეებს ვასწავლე კვლევის მეთოდები, სოციოლოგიური გამოკითხვა, ანალიზი და პრობლემის იდენტიფიცირება. მე კი, როგორც მასწავლებელმა, დავინახე რა პრობლემაა დღევანდელ რეალობაში, რომ უმჯობესია ნებისმიერი სამუშაო მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით, მათთან ერთად დაიგეგმოს.....

მინდა ჩვენი კვლევის რამდენიმე შედეგი გაგიზიაროთ, რომელიც ალბათ არავისთვის იქნება უცხო და უინტერესო.

სამიზნე ჯგუფს სხვადასხვა სკოლის მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეები წარმოადგენდნენ. გამოიკითხა 400 მოსწავლე (200 გოგონა და 200 ვაჟი). გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი მეთოდი - ანკეტირება და განხორციელდა კვლევის შედეგების ანალიზი. ჯგუფებმა კითხვარები შეადგინეს და სამუშაო მიმართულებების მიხედვით გაინაწილეს. მინდა გაგაცნოთ კვლევის ის ნაწილი, რომელიც საგნების პრიორიტეტებს ეხება.


კვლევის შედეგად დავადგინეთ, რომ მოსწავლეები უპირატესობას ანიჭებენ საგნებს, რომლებსაც ეროვნულ გამოცდებზე აბარებენ: ინგლისურს(46%), ქართულს(31%), და მათმატიკას(23%).

პრიორიტეტული საგნები




საგნებს შორის ადგილები ასე გადანაწილდა: ინგლისური 22%, ქართული 15%, მათემატიკა 11%, გეოგრაფია 10%, ისტორია 8%, რუსული 8%, ბიოლოგია 7%, ქიმია 6%, ფიზიკა 7%, ხელოვნება 5% და სპორტი 1%.

საგნები




პირველ ბლოკში მოხვედრილ „ძირითად საგნებს“ უპირატესობა მხოლოდ


საჭიროებიდან გამომდინარე მიენიჭათ. გამოკითხულთა 65% ამ საგნებს გამოცდების ჩასაბარებლად სწავლობს. მოსწავლეთა უმრავლესობა უპირატესობას ანიჭებს "ძირითად საგნებს". საზოგადოებრივსა და საბუნებისმეტყველო საგნებს ეროვნულ გამოცდებზე უმცირესობა აბარებს.



კიდევ ერთი საინტერესო შედეგი: გამოკითხულთა 89,5% მიიჩნევს, რომ მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებაზე წახალისება დადებითად მოქმედებს.



მასწავლებლებს მოტივაციის მნიშვნელობასა და ამდღეობაზე არაერთი ფსიქოლოგის ნააზრევს დასწავლა მოგვიხდა, მაგრამ თეორია თეორიად რჩება. მისი პრაქტიკაში გამოყენება ძირითადად გვავიწყდება და ორიენტაციას მხოლოდ გარეგან მოტივაციაზე (შეფასებაზე) ვიღებთ, რაც თავისუფალ, თანასწორ ურთიერთობას პრაქტიკულად გამორიცხავს. მოსწავლეთა 85% კი მიიჩნევს, რომ განათლების მისაღებად მნიშვნელოვანია მოსწავლისა და მასწავლებლის ურთიერთობა, საჭიროა ამ ურთიერთობის უკეთესობისკენ მნიშვნელოვნად შეცვლა.



ასეთია ჩვენი კვლევის შედეგები.

ჩვენს რეალობაში ძირითად საგნებად ინგლისური, ქართული და მათემატიკა მიიჩნევა. საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი საგნები კი – მეორეხარისხოვნად. ისინი აქტუალურები მხოლოდ საატესტატო გამოცდების შემდეგ გახდა.

განათლების ექსპერტი კენ რობინსონი მთავარ პრობლემად საგნების ე.წ. „ძირითად“ (მათემატიკა, საბუნებისმეტყველო მეცნიერებები და სხვ.) და „მეორეხარისხოვან“ (ხელოვნება, მუსიკა) საგნებად დახარისხებას მიიჩნევს. იგი აცხადებს, რომ „შემოქმედებითობა არ არის საგანზე მიბმული“. ამიტომ მნიშვნელოვანია ყველა საგნის ფარგლებში მისი განვითარება. მისი აზრით, საჭიროა, რომ შემოქმედებითობას იგივე მნიშვნელობა მივანიჭოთ, რაც წიგნიერებას.

ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება „ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს“, განსაზღვრავს, თუ როგორი თაობის აღზრდა ევალება სკოლას და მასწავლებელს. არც ესგ-ში და არც ზგემ-ში არ არსებობს მთავარი და მეორეხარისხოვანი საგნების განსაზღვრება. საგნობრივი კომპეტენციები ერთიანდება საერთო გამჭოლ კომპეტენციებში და საერთო მიზანს უსახავს პედაგოგს „ისეთი მოქალაქის აღზრდისათვის, რომელიც თანამედროვე სამყაროს გამოწვევებსა და მოთხოვნებს უპასუხებს“. ეს უკანასკნელი კი არ გულისხმობს საგნობრივ იერარქიას, არამედ თანამშრომლობას, ცოდნის ტრანსფერს.

ფოკუსს ჯგუფთან (მე-10 კლასის მოსწავლეები) საუბრისას გამოიკვეთა მოსაზრება, რომ ეროვნული გამოცდებისათვის საჭირო საგნებში ბოლო ორი წელი მოემზადებიან და ჩააბარებენ, ამიტომ სხვა საგნის ქულებს და ცოდნას მნიშვნელობა არ აქვს. ზოგად განათლებას კი ინტერნეტსივრციდან მიღებული ინფორმაცია შეავსებს. კითხვაზე – რა არის სკოლის ფუნქცია, პასუხი – ატესტატის აღება, დამეთანხმებით, სამწუხარო შედეგია.

და მაინც ჩვენი (სკოლის, მასწავლებლის) მიზანი დამოუკიდებელი და მოაზროვნე ადამიანის აღზრდაა და არამხოლოდ ეროვნული თუ საატესტატო გამოცდებისთვის მომზადება.